ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N97

(გამარტივებული შესყიდვა)

ქალაქი ბათუმი

24 ივნისი 2016 წელი

ერთის მხრივ სსიპ – აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის მირანდა ჩარკვიანის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,კანცბუმი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის ხვიჩა ანთაძის სახით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ს" ქვეპუნქტისა და ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია - საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა (CPV30100000), სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალა და მათთან დაკავშირებული საგნები (CPV44400000), ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთები (CPV22800000), ავეჯის აქსესუარების (CPV39200000) შესყიდვა.

3. ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 824 (რვაას ოცდაოთხი) ლარი.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. მიწოდების ვადა, ადგილი, მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებს სააგენტოს სამეურნეო ნაწილის უფროსი მინდია შუღლაძე.

4.2. საქონლის მიღება-ჩაბარება ხორციელდება გაწეული საქონლის ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.3. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხოდ მოწოდებული საქონლის მიღებაზე.

4.4.მიმწოდებელმა საქონლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში.

4.5. საქონლის მიწოდების ადგილია ქალაქი ბათუმი, გუდიაშვილის ქუჩა N4.

5. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

5.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად შევსებული სასაქონლო ზედნადების ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. გარანტია

6.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდე სხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და საქართველოში არსებულ წესებსა დანორმებს.

6.2. 6.1.პუნქტში აღნიშნული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს უხარისხოდ მოწოდებული საქონლის ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6.4. მიმწოდებლის მიერ 6.3. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარჯების ანაზღაურება, ან ეს თანხა გამოქვითოს ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.01 პროცენტის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

8.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.

8.4. 8.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობებისმოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3. ხელშეკრულების 10.1 მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს მიწოდებული საქონლის ღირებულება.

10.4. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 15 დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს 11.1. მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

12. სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.

12.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

12.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

12.4. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

12.5. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

12.6. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ – აჭარის, კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო
6000, საქართველო, ქალაქი ბათუმი
ლ.გუდიაშვილის ქუჩა N4
ს/კ 245631455

მიმწოდებელი:
შპს ,,კანცბუმი''
6000, საქართველო, ქალაქი ბათუმი
ტაბიძის/აღმაშენებლის კვეთა
ს/კ 445468388
ს.ს. „პროკრედიტ ბანკი"
მფო MIBGGE22
ა/ა GE94PC0033400100000055

სააგენტოს დირექტორი
მიროსლავა ჩარკვიანი

დირექტორი:
ხვიჩა ანთაძე

ინფორმაცია ფასებისა შესახებ

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ თანხა (ლარი)	მიწოდების ადგილი
1	კონვერტი ა-5 (30100000)	ცალი	200	0.15	30	ქ. ბათუმი გუდიაშვილის ქ.N
2	კონვერტი ა-6 (30100000)	ცალი	200	0.10	20	
3	ფაილი (22800000)	ცალი	6	4.30	25.80	
4	თვითწებადი ლენტი (44400000)	ცალი	6	2.70	16.20	
5	ქოლგა სადგამით (39200000)	ცალი	6	122	732	
	ჯამი:				824	

სააგენტოს დირექტორი
მირანდა ჩარკვიანი

დირექტორი:
ხვიჩა ანთაძე